№ 182 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. — ქუთაისი, აგვისტოს 14 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების გამგეობა, ამით აცხადებს,

რომ შაბათს, 21 აგვისტოს საზოგადოების შენობაში (კირკის ქუჩა № 7) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა სხვა და სხვა მამაკაცების შეკერილ ტანისამოსებზე, რომლებიც შეკვეთილი ჰქონდათ წევრებს 1917 და 1918 წწ. და რომლებთაც დღემდე არ წაუღიათ.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება დილის 10 საათიდან.

დაწვრილებით პირობების გაგება და ტანისამოსის ნახვა შეიძლება საზოგადოების გამგეობაში დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

826 1—1 — გამგეობა.

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დეპარტამენტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 12 აგვისტოდან არსებული საოფთიაქო ნიხრის ხელფასი (Raxa laborum) დროებით გადიდებულია ოთხმოცი პროცენტით (80%).

2205 3—2

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

ტფილისის და სოხუმის დროებითი საგანგებო სასამართლოთა გაუქმებისა.

1. გაუქმებულ იქნას ტფილისის და სოხუმის დროებითი საგანგებო სასამართლოები.

2. ყოველი საქმე, რომელიც ტფილისის და სოხუმის დროებითი საგანგებო სასამართლოთა წარმოებაში არის ან საერთოდ მათ ექვემდებარება, გადაეცეს კუთვნილებისამებრ ტფილისის და სოხუმის ოლქის სასამართლოებს დროებით, იმ ადგილებში, სადაც ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო შემოღებული არ არის, ნაფიც-მსაფულთა მონაწილეობის მიუღებლად განსახილველად.

3. ტფილისის და სოხუმის ოლქის სასამართლოებმა მეორე მუხლში აღნიშნულ საქმეების ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობის მიუღებლად განხილვის დროს იხელმძღვანელონ დროებითი საგანგებო სასამართლოს დებულებით—1918 წლის სექტემბრის 26 კანონისა.

4. იმ საქმისათვის, რომელიც ამ დეკრეტის ძალით ექვემდებარება ტფილისისა და სოხუმის საოლქო სასამართლოებს ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობის მიუღებლად განსახილველად, დაცულ იქნეს სამართალში მიცემის წესი, აღნიშნული სისხლის სამართლის წარმოების წესდების 523, 529-242 მუხ., გარდა იმ საქმეებისა, რომელიც ამ დეკრეტის გამოცემამდე მიღებულ იქნა საგანგებო სასამართლოების და ბრალდების აქტების მიხედვით.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 6 ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

დეკრეტი

თავდაცვის ფონდისათვის 400.000.000 მან. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებისათვის ოთხასი მილიონი (400.000.000) მანეთი სამხედრო საჭიროებისათვის თავდაცვის ფონდათ.

2. პირველ (1) მუხლში მოხსენებული ხარჯის დასაფარავად საჭირო თანხა ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა გაღებულ იქნეს თავდაცვის საბჭოს დადგენილებით.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

11 აგვისტო, 1920 წ. № 232.

დანიშნულ იქმნას: ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ალექსანდრე პეტრეს ძე ბელოუსოვი ამა 1920 წ. 26 ივლისიდან.

№ 233.

დანიშნულ იქმნას: ბათომის საბაჟოსთან აქციზის ინსპექტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ანტონ გენრიხის ძე ზელგეინი ამა 1920 წლის 12 ივლისიდან.

№ 234.

დანიშნულ იქმნას: ბათუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლათ ჯომა გიორგის ძე პარაჩა ამა 1920 წლის 15 ივლისიდან.

№ 235.

დანიშნულ იქმნას: ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლათ გერმან ემილიეს ძე დეგლინგი ამა 1920 წ. 15 ივლისიდან.

№ 236.

დანიშნულ იქნას: ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად რაჟდენ იაკინთეს ძე დოჭვირი ამა წლის 26 ივლისიდან.

11 აგვისტო 1920 წ., № 237.

დანიშნულ იქმნას: ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ისააკ დიასამიძე ამა 1920 წ. 16 ივლისიდან.

№ 238.

დანიშნულ იქმნას ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ბესარიონ დავითის ძე სულავა ამა 1920 წ. 24 ივლისიდან.

№ 239.

დანიშნულ იქმნას ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ხარიტონ პეტრეს ძე ესიევა ამა 1920 წლის 12 ივლისიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ს. ავალიანი.**

იუსტიციის მინისტრისა.

6 აგვისტო, 1920 წ. № 303.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა კანონთა გადამსინჯავ კომისიის საქმის მწარმოებელის თანამდებობის აღმასრულებელი მიხეილ ღვამიჩავა ამა წლის აგვისტოს 6-დან.

იუსტიციის მინისტრის მაგ. **გ. ჟორდანია.**

დეპარტამენტის დირექტორისა.

6 აგვისტო 1920 წ., № 305.

შვებულება მიეცეს სილნაღის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს შალვა გრიგოლის ძე ტატიშვილს ერთი თვის ვადით ამა წლის აგვისტოს ათიდან.

№ 304.

დაინიშნა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწედ-კანცელარიის მოხელე მერი სარდიონის ასული ამირეჯიბი-იშხნელისა ამა წლის აგვისტოს 1-დან.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქ. სამინისტროში

ეპიდემიურ ავადმყოფობის საწინააღმდეგო ზომები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრებაში შეიტანა პროექტი მოარულ სენის გავრცელების წინააღმდეგ საჭირო თანხის გადადების შესახებ. პროექტში აღნიშნულია, რომ სტამბოლსა და ყირიმში ხოლერით ავად გახდომის შემთხვევებია. საშიშარია, რომ იგი საქართველოში გავრცელდეს. ამ მხრივ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ტფილისსა და ბათომს. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ჯამრთელობის უწყება ამ მიზნისთვის 20 მილიონ მანეთის გადადებას თხოულობს.

ფოთის ნავთსადგურის მდგომარეობა.

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი განსაკუთრებულ ბარათში, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინა, ფოთის ნავთსადგურის მდგომარეობას ახასიათებს. თავის მოხსენებაში გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლის განმავლობაში ნავთსადგურში ტეხნიკური ხასიათის მუშაობა სწარმოებდა, და ამიტომ ნავთსადგური თანდათან ნორმალურ სახეს იღებსო. ნავთსადგურს კვლავ ელექტრონით ანათებენ, დაიწყო ნავთსადგურის გარღმავება და სხვ. საერთოდ ნავთსადგურის მდგომარეობა წელს უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე შარშან. სხვათა შორის, გზათა დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ იგი ნავთსადგურის გასაუმჯობესებლად წარმოებულ მუშაობაში განსაზღვრულ გეგმით ხელმძღვანელობს და ნავთსადგურის სამმართველო ხელმძღვანელობს არსებულ საზღვაო კანონებით. ნავთსადგურის სამმართველომ მუშაობის და მიხედვით მოსამსახურეთა სათანადო შტატი შეიმუშავა. ნავთსადგურის სამმართველომ სამხედრო ფლოტილია გამოყო, გარდა ამისა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებას საექსპლოატაციოდ გადასცა რამდენიმე გემი და სხვ. ამ რიგად ნავთსადგურის გასაუმჯობესებლად ყოველგვარი ზომებია მიღებულია.

თფილისის ქალაქის თვითმართველობისაგან.

ტფ. ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ყველა საქართველოს მოქალაქე, რომელიც რეგისტრაციაშია გატარებული, თანახმად ტფილისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებისა, უნდა გამოცხადდეს ტფილისის ქალაქის სამხედრო აღრიცხვის ნაწილში (სადგურის ქ. № 24) და წარმოადგინოს მიღებული დროებით სარეგისტრაციო ბარათები, რის მაგივრადაც მიეცემა მუდმივი საბუთები სამხედრო ბეგრის მოხდის დამოკიდებულებასთან. გამოცხადებისას მოვალენი არიან იქონიონ წლოვანობის დამამტკიცებელი საბუთები. გამოცხადება იქნება შემდეგ რიგით 16 ამა აგვისტოს მცხოვრებნი 5, 6, და 12 უბნებში, 17 აგვისტოს—1, 2 და 3 ში 18 აგვისტოს—9, 10 და 10-ში 19 აგვისტოს—4, 7, 8 და 11 უბნებში.

ვინც არ გამოცხადდება აღნიშნულ დროსთვის მას ჩამოერთმევა დროებითი სარეგისტრაციო ბარათები მილიციის საშუალებით და პასუხის გებაში იქნება მიცემული. 13 აგვისტო 1920 წ. ტფილისის ქალაქის გამგეობა.

აგვისტოს 12, თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა, შვებულებაში დათხოვნილთ 1888—1889 წლებში დაბადებულნი დღიდან შვებულებაში დათხოვნაა ესპობათ სამხედრო უწყებიდან ჯამაგირი და ერთდროული დახმარება, ამასთან ერთად ყოველ მათგანს უფლება აქვს დაუბრუნდეს იმ თანამდებობას, რომელიც მას ეჭირა მობილიზაციით გაწვევამდე.

სახელმწიფო კანტროლში

დირექტორის მოხსენება.

სახელმწიფო კანტროლის საქმეთა დირექტორმა, რომელიც გამგზავრებული იყო ქალ. ბათომში ვიცე-დირექტორ ცინცაძესთან ერთად სხვა და სხვა დავალებათა შესასრულებლად ტფილისში დაბრუნების შემდეგ სახელმწიფო კანტროლიორის მოვალეობის აღმასრულებელს, კანტროლიორის ამხანაგს კ. ე. ანდრონიკაშვილს წარუდგინა ვრცელი მოხსენება, რომლიდანაც შემდეგი გამოირკვა:

იმ დროიდან, როდესაც ბათომში მივიდა საგანგებო კომისარი ბ. გ. ჩხიკვიშვილი, სახელმწიფო კანტროლიორმა დაიწყო იქ თავისი მოქმედება ვიცე-დირექტორის ჩიქოვანის ხელმძღვანელობით. კანტროლი მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ მიმღებ კომისიებსა და შემოწმებებში. ამ ჟამად იგი მუშაობს ჩაქვის მამულის მიღებაზე. თვითეულ მიღებაზე შედგენილია აქტები, აღწერანი და სხვ. ამ დღეებში ბათომში ყოფნის დროს სახელმწიფო კანტროლის საქმეთა დირექტორის ი. ა. სმირნოვისა და ვიცე-დირექტორის დ. ბ. ცინცაძისა, სხვათა შორის, მიექცა ყურადღება იმას, რომ ქონების საბოლოო ჩაბარება დამთავრებულ იქნეს მიღების ოპერაციის მსვლელობის ანგარიშით და შესდგეს საერთო სია იმ მატერიალურ და ნაღდ ფულის ღირებულებისა, რომელიც ჩვენი მთავრობის ხელში გადმოვიდა. ამასთანავე ერთად საჭიროდ ცნობილ იქნა დაუყონებლივ გაიხსნას ბათომში კანტროლის ცალკე განყოფილება ოლქის შემოსავალ-გასავლის შემოწმებისა და ფაქტიურ კანტროლისათვის. ეს უკანასკნელი განზრახულია განვავითაროთ, რაც შეიძლება ფართე მასშტაბით და ამასთან ზოგიერთ დაწესებულებებში, როგორიცაა მაგალ. საბაჟო, სანავთსადგურო სამართველო, ჩაქვის მამული და სხვ., მივლინებულ იქნან მუდმივად მოხელენი და მათვე უნდა დაევალოს ადგილობრივ აწარმოონ ხარჯთა წინასწარი რევიზია. ამნაირად კანტროლი ზრუნავს ახალს სარევიზიო რაიონში შექმნას ისეთივე მოძრავი საკანტროლო აპარატი, როგორიც უკვე მოქმედებს რესპუბლიკის სხვა ადგილებშიაც (სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, კახეთი) და შეძენილი თავისი გამოცდილება გამოიყენოს ამ მიზნისთვის. იმავე თვალსაზრისით განზრახულია კანტროლის ბათომის საოლქო განყოფილებას მიეცეს ბევრად თუ ცოტად ფართე უფლებანი, რომ მან დამოუკიდებლად შესძლოს მასთან აღძრული საქმეების გადაწყვეტა და აგრეთვე მიენიჭოს მას უფლება უშუალოდ გადასცეს სისხლის სამართლის ხასიათის საქმეები სასამართლოს ხელისუფლებას.

ამნაირი დეცენტრალიზაცია, ეჭვს გარეშეა, მისცემს დაწესებულებას საჭირო ელასტიობას. განყოფილებისათვის უმაღლეს ინსტანციად ითვლება ცენტრალურ კანტროლის საერთო საკრებულო, რომელიც, როგორც კულტურული დაწესებულება, რასაკვირველია, შესძ-

ლებს განყოფილების მოქმედებებში კორექტიობის შეტანას საქმის ინტერესისა და სახელმწიფო სარგებლობისათვის.

აღნიშნულ მიმართულების მიხედვით შემუშავებულია მოხსენება და დებულება, რომლებიც უკვე შეტანილია დამფუძნებელ კრებაში.

უცხოეთი

(სპინფორმაციო ბიუროს ცნობები)

„დეილი ტელეგრაფი“ აზერბეიჯანის ბოლშევიკებზე.

„დეილი ტელეგრაფი“ იუწყება: აზერბაიჯანის ბოლშევიკები ინგლისის და საფრანგეთის დატუსაღებულნი შიმშილობენ. ინგლისის კონსულს ხოულკეის დახვრეტა გადაუწყვიტეს, მაგრამ იგი ავად გახდა და ჯერ არ დაუხვრეტიათ. საფრანგეთის კონსულს ფლეროს და პოლონელებს კიდევ უარესათ ეპყრობიან.

მილერანის აზრი გერმანიაზე.

„გოლუა“ მილიერანის შემდეგ სიტყვებს გადმოგვცემს: მოკავშირეებს სრულიად არ სურთ გერმანიის დასუსტება. პირიქით ისინი მზად არიან დაეხმარონ გერმანიას ეკონომიურ აღორძინების საქმეში, მაგრამ საჭიროა ჯერ-ჯერობით მოვალემ თავისი ვალი კეთილსინდისიერათ გადაიხადოს.

ჩიჩერინის სიტყვა

„ეხო-დეპარი“ თანახმად სტოკჰოლმიდან მიღებული ცნობებისა იუწყება: კომუნისტურ პარტიის აღმასრულებელ კომიტეტში ჩიჩერინმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა: ინგლისი, განაცხადა საგარეო საქმეთა კომისარმა პირმთნე და გაიძვერაა. მასთან საბრძოლველად ჩვენი ძმური კავშირი უნდა შევკრათ ავდანისტანთან, ოსმაღლეთთან, სომხეთთან, სპარსეთთან და ჩინეთთან. ეს ერები ჩვენ გვიყურებენ, როგორც მხსნელებს. ისინი გვიწვევენ ჩვენ, როგორც არბიტრებს და სთხოვენ წითელ ჯარებს, რომ მათ სადაკო ზონები დაიკავონ. საჭიროა შეთვისება აღმოსავლეთისა, რომელიც საგრძნობ რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენს და რომელსაც შეუძლია ადამიანთა მილიონობით მოცემა.

ირლანდიის მოძრაობა.

„დეილი“ ხრონიკლი იუწყება, თემოა პალატაში ირლანდიის მდგომარეობას განხილვის დროს, გამოარკვიეს, რომ ირლანდიის მოძრაობას კავშირი აქვს ინდოეთის, და ბოლშევიკების მოძრაობასთან.

ამერიკის მისიის წინადადება.

ამერიკის მისიამ ამერიკის მოქალაქეებს, რომლებიც ვარშავაში სცხოვრობენ, წინადადება მისცა გასამგზავრებლად მოემზადონ.

ბრუსილოვის სამხედრო ძალები.

მემელი, რომელიც ბოლშევიკები 50 ვერსით დაუახლოვდენ ფრანგების ძლიერ რაზმს უჭირავს. გაზეთების ცნობით გენერალმა ბრუსილოვმა დვინსკის წინ თავი მოუყარა საგრძნობ ძალებს.

ბოლშევიკების გაძევება.

თანახმად სან ფრანციისკოდან მიღებულ ცნობებისა, ადგილობრივმა მმართველობამ პირებმა გადასწყვიტეს ბოლშევიკები და საერთოდ არასასურველი უცხოელები ოლქიდან გააძევონ. საკითხი არა სასურველი უცხოელების გაძევების შესახებ სხვა ოლქებშიაც წამოიჭრა.

ფოსტა-ტელეგრაფის კონფერენცია.

ტელეგრაფის წარმომადგენელთა საერთაშორისო კონფერენცია დასრულდა. ამ კონფერენციის გამო საფოსტო დამოკიდებულება ბრიტანეთსა და საბერძნეთს შორის ვაუმჯობესდა. მიღებულია ზომები ევროპასა და აღმოსავლეთს შორის საფოსტო დამოკიდებულების გასაუმჯობესებლად.

სამხედრო ძალები ბულგარეთის საზღვარზე.

„ტანი“ იუწყება, რომ ბულგარეთის საზღვარზე გროვდება საგრძნობი სამხედრო ძალაო.

„ტაიმსი“ საბჭოთა რუსეთის შესახებ.

„ტაიმსი“ ითვალისწინებს საბჭოთა რუსეთთან ახლად დაწყებულ მოლაპარაკების შეწყვეტას და კიცხავს საბჭოთა მთავრობას იმის გამო, რომ იგი პოლონეთის მიმართ ავანტიურის გზას დაადგა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ლენინი, ტროცკი და ჩიჩერინი სრულიად არ უწევენ ანგარიშს ხალხის ნებასურვილს ზავის ჩამოგდების საკითხში. სანამ ეს პირები არიან მართველობის სათავეში, მანამდე არავითარი იმედი არ არის, რომ რუსეთსა და კულტურულ ქვეყნებს შორის რაიმე დამოკიდებულება განახლდესო.. ამავე საკითხის შესახებ „პელ-მელი“ სწერს: ბოლშევიკები თავისი ტლანქი მოქმედებით სრულიად განდევნიან რუსებს ევროპის განათლებულ ხალხთა წრიდან. ყოვლად შეუძლებელია რაიმე დამოკიდებულების დაჭერა ისეთ ქვეყანასთან, რომელთა მმართველებს უბრალო საერთაშორისო ეთიკის ნასახიც კი არ გააჩნიათ.

ბურცევი.

ბურცევი სწერს: მოკავშირეები ვერას დროს ვერ გადაწყვეტენ თავის ეკონომიურ საქმეებს, სანამ არ აღდგება მთლიანი და მძლავრი რუსეთი. მოკავშირეებმა უნდა გაიგონ, რომ რუსეთის საკითხი დღეს-დღეობით ერთი უმთავრესი საკითხთაგანია. რუსეთი ავადმყოფი იქნება, თუ ჯანმრთელი, ყოველთვის ძლიერია, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიონ. რაც უფრო მალე აღსდგება ჯანმრთელი და ძლიერი რუსეთი, მით უფრო მალე დამყარდება ევროპის წონასწორობა, მით უფრო მალე მოისპობა ბოლშევიკური სენი. საჭიროა გარკვეული მოქმედება.

რუსეთ-პოლონეთის დამოკიდებულება.

საფრანგეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს რუსეთსა და პოლონეთის დამოკიდებულებას. „მატენი“ სწერს: თუ საბჭოთა მთავრობამ დამოუკიდებლად აწარმოვა პოლონეთთან მოლაპარაკება, მაშინ საბჭოთა რუსეთი პოლონეთს დასჯაბნის. ჩვენ არ მოველით მოსკოვიდან არც დიდსულოვნებას და არც საერთაშორისო ლოიალობას. მოსკოვს ევროპა უნდა მოელაპარაკოსო.

სახალხო უნივერსიტეტის დღეგი

დემოკრატიულ რესპუბლიკის საფუძველი ეს ხალხის შემეცნებაა, მასის განვითარება. თუ რომელიმე მოქალაქე მოკლებულია მოქალაქობრივ ელემენტარულ შეგნებასაც კი, თუ მას არ ესმის თავის მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე, თუ ნათლად არა აქვს წარმოდგენილი თუ რას ავალებს მას სახელმწიფო, ან მან რა უნდა მოსთხოვოს სახელმწიფოს, ისე წარმოუდგენელი არის ლაპარაკი ისეთ სახელმწიფოებრივ ფორმაზე, როგორიცაა დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ საბედნიეროდ ჩვენი დემოკრატია მუდამ იღწოდა განათლებისაკენ, მას ღრმად სწამდა, რომ შეუგნებული მასა უფრო ბრმა სათამაშო იარაღია, მისი დათურგვნა უფრო ადვილად შეიძლება, ამისათვის იყო, რომ შავ რეაქციის დროსაც კი ახერხებდენ ხალხში შეგნების შეტანას ჩვენი დემოკრატიის მესვეურნი; ამის საუკეთესო თავდები და დამამტკიცებელია ის თავდადება, რომელიც ჩვენმა დემოკრატიამ გამოიჩინა სამშობლოსა და თავისუფლების დაცვის საქმეში. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს მუშათა კლასს აღარ ეჭიროებოდეს მეტი შეგნებაგანვითარება, გათვითცნობიერება. ცხოვრების პირობები დღითი დღე როულდება, ცხოვრებასთან ბრძოლა დღეს მეტ შეგნებას, მეტ საბრძოლველ ძალას მოითხოვს, ვინემ ამ რაოდენიმე ათეული წლის წინად, ეს კარგად აქვს შეგნებული საქართველოს მუშათა კლას, საქართველოს გლეხობას და ამიტომ არის, რომ ყველგან აარსებენ სახალხო უნივერსიტეტებს, სკოლებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს და სხვა კულტურულ-განმანათლებელ ორგანოებს. მაგრამ ვინ იცის რა ჯდება დღეს ხსენებული დაწესებულებების დაარსება, მისი გაძღოლა; ყველაფერს ამას ფინანსები სჭირდება; ჩვენი მთავრობა ყველაზე მეტს ხალხის განმანათლებელ დარგისთვის ხარჯავს, ის უკანასკნელ კაპეიკებსაც არ ზოგავს, რათა მეტი სულიერი საზდო მიაწოდოს საქართველოს დემოკრატიას, მაგრამ ვინ არ იცის ისიც თუ ამ ჟამად რა კრიტიკულ ეკონომიურ ცირობებში ვართ ჩავარდნილი, ჩვენი სახელმწიფო ხაზინა დღეს ღარიბია, ამისათვის როგორიც დიდი არ უნდა იყოს მთავრობის სურვილი ხალხის კულტურულ-განათლებისათვის დასახმარებლად ის მაინც სუსტია, თუ მას გვერდში საზოგადოება არ ამოუდგება. აქ საქმეს უშველის ისევ და ისევ საზოგადოებრივი დახმარება, თითო ოროლა პირისთვის დღეს უფრო ადვილია გამოიღოს რამოდენიმე მანეთი, ვინემ სახელმწიფოსთვის.

საჭიროა შემოწირულება! ამ მიზნით დღეს და ხვალ იმართება სახალხო უნივერსიტეტის დღეები; ჩვენში მრავალი „დღეები“ გაიმართა, იქნება კიდეც მოწყინდა საზოგადოებას ამდენი „დღეები“, მაგრამ სახალხო უნივერსიტეტის „დღეები“ ეს ხომ სიმპატიური და კეთილი მიზნითაა, რომ ჩვენ დარწმუნებული ვართ საზოგადოება ამ დიდ საქმისთვის არ დაიშურებს თავის წვლილს. მაშ, დაეხმარეთ სახალხო უნივერსიტეტს, ამ მუშათა მეცნიერების ტაძარს; ეს განმანათლებელი ცენტრია ჩვენი მუშებისათვის, რომლებსაც ბედმა თუ უბედობამ არ არგუნა გიმნაზიების გათავება!

სახალხო უნივერსიტეტი ეს მშრომელი კლასის წმინდა ტაძარია, ნუ იძუნწებთ, დაეხმარეთ სახალხო უნივერსიტეტს! X

დამფუძნებელ კრებაში

დამფუძნებელ კრების პლენუმში შეიტანეს შემდეგი კანონ-პროექტები: 1) ქუთაისის ქალაქის თვითმართველობისათვის $3^1/_2$% სესხის 5 წლის ვადით მიცემის შესახებ, 2) ორი მილიონი მანეთის გადადების შესახებ აზერბეიჯანში წამსვლელ მუშათა დელეგაციის საჭიროებისათვის. 3) მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ე. ბ. გეგეჭკორის უცხოეთში გასამგზავრებლად საჭირო თანხის გადადების შესახებ. 4) ტფილისის ქალაქის თვითმართველობისათვის სასურსათო ოპერაციების გასაფართოებლათ 40 მილიონ მან. 4 წლის ვადით სესხად მიცემის შესახებ.

მოსწავლეთა უზრუნველყოფა

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგმა ერობათა კომიტეტის თავმჯდომარეს და აგრეთვე ყველა ერობას მიმართა ოფიციალური წერილით, რომელშიც იგი აცნობს ერობათა თვითმმართველობებს მოსწავლეთა მდგომარეობას. მინისტრის ამხანაგი თავის მიმართვაში განსაკუთრებულ ყურადღებას ქართველ სტუდენტობის მდგომარეობას აქცევს. სხვათა შორის ბარათში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის სტუდენტობა, იმის მაგივრად, რომ მთელი თავისი ენერგია სწავლა-განათლებას მოანდომოს, ცხოვრების პირობების გამო იძულებულია სხვა და სხვა დაწესებულებებში იმსახუროს. სახელმწიფოს ინტერესის თვალსაზრისით ეს მოვლენა დიდ საშიშროებას წარმოადგენს, ვინაიდან თუ ასე კიდევ დიდ ხანს გაგრძელდა სახელმწიფოს არ ეყოლება სათანადოდ მომზადებული პირები. სახალხო განათლების სამინისტრომ ამ მოვლენას დიდი ყურადღება მიაქცია და გადასწყვიტა გასნას მომავალ სამოსწავლო წლიდან სტუდენტთა დამხმარე საზოგადოება, რომელსაც გადაეცემა სათანადო თანხა ფონდისათვის. საზოგადოების მიზანი იქნება მოსწავლეთათვის და კერძოდ სტუდენტებისათვის დახმარების აღმოჩენა. ამ საზოგადოებამ უნდა მოაწყოს სასადილოები, დანიშნოს სტიპენდიები და სხვ. მაგრამ ამ საქმეში მხოლოდ სახალხო განათლების სამინისტროს დახმარება არ იქნება საკმარისი; საჭიროა საზოგადოების თანაგრძობა და დახმარება. სამინისტროს აზრით ამ საქმეში დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ ერობების თვითმმართველობებს. ერობებს არ ჰყავთ საკმაოდ მომზადებული პირები. ყოველ ერობას შეუძლია დაუნიშნოს სტიპენდია რამდენიმე სტუდენტს, რომელნიც შემდეგ განსაზღვრულ დროის განმავლობაში იმსახურებენ ერობებში. ამრიგად შეერთებული ძალით მთავრობას და საზოგადოებას შეძლება ექნება შეაესუსტოს არსებული კრიზისი, რომელსაც ამ ჟამად განიცდის მოსწავლე ახალგაზრდობა.

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

გერმანული პრესა.

პოლონელი ლტოლვილნი.

სამშაბათიდან თავისუფალ ქალაქ დანციგის ტერიტორია პოლონელ ლტოლვილთა შესასვლელად სურსათის სიმცირის გამო დაიკეტა.

შეიდმანის მეორე ინტერნაციონალის შესახებ.

ჟენევის მეორე ინტერნაციონილის შესახებ კასელის სოციალ-დემოკრატებთან საუბრის დროს შეიდემანმა აღნიშნა, რომ ომის საბოლოო შეწყვეტა გასწმენდს გზას მომავალში ყველა სოციალისტთა გაერთიანებულ მუშაობისათვისო. საზავო ხელშეკრულების და ერთა ლიგის შესახებ გამოტანილი რეზოლიუციები პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის სოც. და მათ შორის ვანდერველდე, რომელმაც როგორც ბელგიის მინისტრმა ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას, მოითხოვს თავისი მთავრობისაგან ამ ხელშეკრულების გადასინჯვას. კონგრესის მნიშვნელობა იმაშია, კიდევ, რომ მან დაჟინებით უნდა მოითხოვოს ნეიტრალიტეტი. რუსეთ-პოლონეთის ომში, თუ ახალი ომი დაიწყო, გადაწყვეტილია მემაღლარეთა გაფიცვა. ეს ფაქტები ამტკიცებს, რომ მეორე ინტერნაციონალი დიდ ძალას წარმოადგენს მტკიცე ერთიანობის დროს. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ სოციალიზმის ნიადაგზე, რომელიც ბოლშევიზმის უარისყოფას გულისხმობს.

რუსეთი და პოლონეთი.

რუსების მიერ დაკავებულ პოლონეთის ცხოვრებაში ომმა ცოტა განსხვავება შეიტანა, გარდა წითელი დროშისა, გრაევოში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. მცხოვრებლები არავის შეუწუხებია, ისინი თავის მუშაობას განაგრძობენ. მთავარი საჭირბოროტო საქმე—მოსავლის მოწევაა. პოლონელებმა აკრძალეს მოსავლის განადგურება. წითლებს არ შეუძლიათ მოსავლით სარგებლობა, რადგანაც არა ყავთ თავისუფალი ხალხი, რომ ყანები მოიწიონ.

ფრანგული პრესა.

პოლონეთი და ბალშევიკები

გაზეთ „ტანის“ ცნობის თანახმად ვარშავისაკენ ბალშევიკების თავგანწირულმა წინსვლამ მცირე გამარჯვებას მიაღწია. ვარშავას მოელის საშიშროება. პოლონეთის მისიას სამშაბათს საღამომდე არ ჰქონდა ნამდვილი ცნობა, რომ ოთხშაბათს პოლონელები და ბალშევიკები შეხვდებოდენ ერთმანეთს. „პტიპარიზიენის“ ცნობით, საბჭოთა ზავი პოლონელებთან, პოლონეთის ჯარს 50,000 კაცამდე შეამცირებს. ზედმეტი იარაღი უნდა მოტანილ იქნას. რუსებს ბალტიის ნავთსადგურებისაკენ გასავალი გზა ექნებათ პოლონეთის ტერიტორიაზე. რუსის ჯარი ლორდ კერზონის ნაჩვენებ ხაზზე დაიხევს. დაბოლოს ომში დახოცილ პოლონეთის ჯარისკაცთა ოჯახებს მიწა... (გამოტოვებულია)

ვრანგელის მთავრობის დე-ფაქტოდ აღიარება

საფრანგეთის მთავრობამ სამხრეთ რუსეთში გენ. ვრანგელის მთავრობა დე-ფაქტო აღიარა.

კონსტიტუციონური ყრილობა

დურაცოდან აუწყებენ გაზეთ. „მატენს“, ახლო მომავალში მოიწვევენ კონსტიტუციონურ ყრილობას. ალბანეთის მართვა-გამგეობის ფორმის გადაწყვეტამ დეპუტატთა უმეტესობა რესპუბლიკის მომხრეა.

მოსკოვი, აგვისტოს 12. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

სამხედრო ცნობა. აგვისტოს 12. აგვისტოს 10 ჩვენ დავიკავეთ მლავა და სედლეცი, ხელთ ვიგდეთ ტყვეები და ნადავლი, ჩვენ დავიკავეთ პუტუსკი და ლუკოვის აღმოსავლეთით 12 ვერსზე მდებარე ადგილები. ხოლმის რაიონში ჩვენმა ჯარმა მდ. ბუგი გადალახა და ვლოდავა-ხოლმის შარაგზაზე გამოვიდა. ვლადიმირო-ვოლინის მიმართულეჩვენ გრუბეშოვი და დაბა კრილოვი ავიღეთ. დნესტრზე და შავი-ზღვის ნაპირებზე მდგომარეობა უცვლელია.

მოსკოვის, ტამბოვის და ვიტებსკის გუბ. და მაზრებში გლეხთა კვირაა. გაიხსნა სადურგლოები, ფეხსაცმელის სახელოსნოები და სხვა. გლეხებს დახმარებას უწევენ ყანების დამუშავებასა და სასოფლო სამეურნეო მოწყობილობათა შეკეთებაში.

ოდესა. აგვისტოს 9. ოდესის ნავთსადგურიდან ხორბლით სავსე გემი წავიდა იტალიაში. ამ გემით მოვიდენ რუსი სამხედრო ტყვეები. პური მიეცათ იტილიელებს წამლეულობის სამაგიეროთ. გემი დატვირთეს 250000 ფუთი ხორბლით. მოკლე ხანში ადესაში იტალიიდან მოვა დიდი ტრანსპორტი სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და მოწყობილობით. იტალიელები ზეიმით გააცილეს.

ნაუენი. აგვისტოს 10 გაზეთი „ფორვერტსი“ იუწყება: ლონდონის ნავთსადგურის მუშებმა გადასწყვიტეს დაიკავონ ლონდონში ყველა სამხედრო მასალა, თუ ინგლისი ჩაერევა საქმეებშიო.

რიგელი. აგვისტოს 9 დანციგის ქალაქის მოურავი ხალხმა ეროვნულ კრების შენობიდან გამოათრია და სასტიკად სცემა. მოკავშირეთა უმაღლესმა კომისარმა მოკავშირეთა ჯარის სარდალს დაავალა წესრიგის აღდგენა. დანციგის გაზეთები იუწყებიან, რომ მოსული ჯარისკაცები უმეტეს ნაწილად იუნკრებისა და ოფიცრებისაგან შესდგებიანო.

რიგელი. აგვისტოს 8. გაზეთების ცნობით დანციგში მოელიან გემებს ამუნიციითა სამხედრო მასალით, თუ მუშებმა უარი განაცხადეს გემების დაცლაზე, მოკავ-

შირეთა უმაღლესი კომისარი თავისი ძალებით დაიწყებს გემების დაცლას.

ვიტებსკი. აგვისტოს 7. სენოვსკის მაზრაში წითელ არმიელთა ყანები ადგილობრივმა გლეხებმა მოიწიეს. მოიწევენ აგრეთვე „გაზაფხულზე ნათეს ყანებსაც.

ცარიცინი. აგვისტოს 3 დუბოვკაში პროფ. კავშირებმა საბჭოთა მოსამსახურეებმა და ტრანსპორტის მუშებმა ცხოვრებაში გაატარეს სამუშაო დღის 2 საათით გადიდება.

ქრისტიანია. აგვ. 3 საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა კომისიამ მიმართა ბალტიის ყველა სახელმწიფოებს, კავკასიას, პოლონეთს და ყირიმს გამოსთქვან თავისი პოლიტიკური მისწრაფებანი. კომისია ამ ქვეყნების წარმომადგენლებს მოუწდებს პარიზში სათათბიროთ და საერთო კავშირის შესაკრავად.

ახალი ამბები

✦ პოლკ. ჰასკელის მოსასალმებელი ბარათი. პ. ჰასკელმა მიმართა საქართ. სამხედრო მინისტრს ასეთი შინაარსის ბარათით: ჩემს მოვალეობათ მიმაჩნია გამოუცხადო ულრმესი მადლობა საქართველოს ჯარს იმ საჩუქრებისათვის, რომელიც მან მომიძღვნა ჩემი ამერიკაში გამგზავრებისას. ეს დამტკიცებული საბუთი ჩვენი კავშირისა ჩემში საქართველოს ჯარის მოგონების მიზეზათ დარჩება. ჩემი ოჯახი ყოველთვის მოწიწებით, მოიხსენიებს საქართველოს ჯარის სახელს. გისურვებთ მომავალში გამარჯვებას. მიიღეთ ჩემი გულწრფელი სალამი (დ. ს.).

✦ პროტესტი. სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭომ ვაჰან კორენის დახვრეტის გამო გამოიტანა შემდეგი შინაარსის საპროტესტო რეზოლიუცია: სომხეთა საქველმოქმედო საზოგადოების საბჭო პროტესტს აცხადებს მუსავატ წითელთა აზერბაიჯანის მიერ აღმოსავლეთის ინტერნაციონალის იდეის ბრწყინვალე წარმომადგენლის ვაჰან კორენის დახვრეტის გამო (დ. ს.).

✦ რუსეთ-საქართველოს საფოსტო ხელშეკრულება. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ შეიმუშავა პროექტი რუსეთსა და საქართველოს შორის საფოსტო და სატელეგრაფო კონვენციისა. პროექტში დაწვრილებით ჩამოთვლილია ის პირობები და წესები, თუ როგორ უნდა იგზავნებოდეს საქართველოსთან რუსეთში და რუსეთიდან საქართველოში საფოსტო კორესპონდენციები, დეპეშები, და სხ.

✦ გურიის ერობა. გურიის სამაზრო ერობის გამგეობა იწვევს გამგეებს და მასწავლებლებს საერობო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვისას, ბინით, გათბობა-განათებით მასწავლებლებიც დაკმაყოფილდებიან. თხოვნები და საბუთები უნდა გადმოგზავნის სამაზრო ერობის გამგეობაში, ოზურგეთში.

✦ მფრინავ მაყაშვილის დაღუპვა. ჯარის საინჟენერო და სატეხნიკო განყოფილების უფროსმა გენერალ თაყაიშვილმა აცნობა სამხედრო მინისტრს სამხედრო მფრინავ მაყაშვილის დაღუპვის შესახებ: აგვისტოს 11 დაახლოვებით საღამოს 7 საათზე აეროდრომზე სანიმუშო ფრენის დროს დაიღუპა საავიაციო როტის უფროსის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი სამხედრო მფრინავი მაყაშვილი. სამხედრო სამინისტრომ აღძრა საკითხი მფრინავ მაყაშვილის სახელმწიფო ხარჯზე დასაფლავების შესახებ.

✦ მფრინავ მაყაშვილის დაღუპვის შესახებ. საავიაციო როტა შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს აწვდიან მფრინავ მაყაშვილის დაღუპვის შესახებ: მაიორი მაყაშვილი აგვ. 11 დაახლოვებით 7 საათზე მატორის გასაშინჯავად გამოფრინდა „სოპეიჩვემელი“-ს სისტემის ინგლისურ გამანადგურებელზე. იგი აფრინდა ჰაეროდრომზე და სად. ნავთლუღის თავზე ნაკვთის გაკეთების დროს დაახლოვებით 25 მეტრის სიმაღლიდან ძირს ჩამოვარდა, წყოსის წინა ნაწილით მიწას დაეჯახა და დაამსხვრა. როგორც სჩანს განსვენებულმა ყოველივე ღონე იხმარა წყოსის გადასარჩენად, და მას თავი შესწირა. თავდადებული მფრინავი გამოიტანეს წყოსის ნამსხვრევებიდან; მას ორივე ფეხი და გულის ფიცარი დამტვრეული ჰქონდა. ის გრძნობაზე არ მოსულა და 5 წუთის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგების ხელზე.

✦ მაყაშვილის დასაფლავება. მაყაშვილს დღეს დაასაფლავებენ. წესს აუგებენ სამხედრო ტაძარში ფილის 10 საათზე. დასაფლავებაში მონაწილეობას მიიღებს ჯარი. ტაძრიდან გამოასვენებენ დღის 12 საათზე. დაკრძალავენ დიდუბის სასაფლაოზე.

✦ ეურნალი „ერობის“ რედაქცია. ღია

დილის 10—1 საათამდე. რედაქტორთა ნახვა შეიძლება 10—11-მდე.

გადასახადების აკრება.

გადასახადების ამკრეფ სამმართველოს უფროსი ვირსალაძე, რომელიც სარევიზიოდ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა და სხვა ადგილას იყო გამგზავრებული ტფილისს დაბრუნდა. რევიზია მოახდინა თიანეთის მაზრასა და კახეთის ზოგიერთ ადგილში. ვირსალაძის გადმოცემით გადასახადის აკრების წყოსი (აპარატი) ქალაქებში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. რევიზორი აღნიშნავს, რომ რძის წარმოება თიანეთის მაზრაში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებულია. წელს კარგი მოსავალი იყო. მეჯოგეობა ფრიად ვითარდება. მეურნეობის ამ დარგებზე გადასახადების ამკრეფ წყოსის სისუსტის გამო, სათანადო გადასახადი ვერ არის გაწერილი. საქმის გასაუმჯობესებლად ვირსალაძეს საჭიროდ მიაჩნია გადასახადების ამკრეფი ინსპექტორები სამგზავრო ფულში გაუთანასწორონ სახელმწიფო დაწესებულების მოხელეებს. ფინანსთა მინისტრი დეთანხმა ვირსალაძის ამ მოსაზრებას და შეპირდა მას რომ ამის შესახებ იგი მთავრობას აცნობებს. ვირსალაძემ აღნიშნა, რომ გადასახადების აკრების საქმე იმდენად კარგად არის დაყენებული, რომ მოსალოდნელია 1—1½ მილიარდ მანეთის შემოსავალი. ფინანსთა სამინისტროს დავალებით ვირსალაძე მოკლე ხანში ბათომს გაემგზავრა გადასახადების აკრების საქმის მოსაწესრიგებლად.

ბათომი

ბათომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორამ მოაწყო უცხოეთში რეგულიარული გადაგზავნა საფოსტო კორესპონდეციებისა უცხოეთის გემებით. საქართველოს კორესპოდენცია მიდის სტამბოლს, პარიზს, რომსა და ლონდონს. ამ ცენტრიდან კი საქართველოს მიღებული კორესპონდენცია დანიშნულ ადგილას გაიგზავნება. ამერიკის კორესპოდენცია ლონდონით გაიგზავნება.

— სომხეთის ადგილობრივმა კონსულმა ნოვოროსიისკიდან სომეხ ლტოლვილთა გადმოსაყვანათ დაიქირავა გემები. პირველი გემი ბათომის ნავთსადგურიდან ნოვოროსიისკში ზემოდ დასახელებულ მიზნით აგვისტოს 11 გავიდა.

— მიღებულია ცნობა, რომ საბჭოების გემებმა ნოვოროსიისკის მახლობლად დააკავეს 10 იალქნიანი ნავი. ეს ნავები გააჩერეს ნოვოროსიისკიდან 59 მილის დაშორებით. დაკავებულ ნავების ბედი გამოურკვეველია.

— აქ მიღებულ ცნობების მიხედვით გენერალი ვრანგელი აგვისტოს 5 სასწრაფოდ გამგზავრებულა სტამბოლს ინგლისის ჯარების წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად. აგვისტოს 7 ვრანგელი უკანვე სევასტოპოლს დაბრუნდა. ამავე ცნობით გენ. ვრანგელს დაუვალებია პარიზში მყოფ წარმომადგენელ პ. სტრუვესათვის განაცხადოს, რომ წელს ყირიმის ჯარს განზრახული არა აქვს მოსკოვზე წასვლა. ვრანგელი სთხოვს მოკავშირე სახელმწიფოებს არა სამხედრო დახმარებას, არამედ სამხრეთ რუსეთის კულტურულად აყვავებაში ხელის შეწყობას.

— ყირიმიდან მოსული ცნობით იქაურ პოლიტიკურ წრეებში დიდ ყურადღებას აქცევენ გერმანიის მისიის სევასტოპოლში ჩამოსვლას. ამის გამო სევასტოპოლის გაზეთებში დაბეჭდილია ოფიციალური განცხადება ასეთი შინაარსისა: ყირიმში გერმანიის მისია ჩამოსულია ეკონომიური საქმეებისათვის და მას არავითარი პოლიტიკური რწმუნებულება არა აქვს.

— რუსეთის სავაჭრო საზღვაოსნო საზოგადოება უკვე შეუდგა ყირიმის, სტამბოლისდა საქართველოს ნავთსადგურებს შორის მგზავრთა გადაყვან-გადმოყვანის საქმის მოწყობას, ამის გამო ხსენებულ საზოგადოებას ვრანგელმა დაუბრუნი წინად სამხედრო საჭიროებისათვის ჩამორთმეული გემები.

გურიის ერობაში

ტეხნიკური განყოფილება უკვე შეუდგა აგრეთვე მდ. რიონის განაპირა ჭაობების გამოკვლევას, რომელიც სწარმოებს ინჟ. კენეკისავე ხელმძღვანელობით. გადაწყვეტილია გამოკვლევის მთლად დათავებას არ დაუცადონ, არამედ პარალელურად შეუდგენ ნათესების აღების შემდეგ თხრილების გაკეთებასაც ზოგიერთ ადგილებში.

— გამგეობამ გადასწყვიტა აგრეთვე დაუყონებლივ შეუდგეს ნატანებ-საჯევახოსა და სხვა სამაზრო მნიშვნელობის გზების კაპიტალურ რემონტს. ამ მიზნით მან შეიძინა—ქვის სამტვრევი, გზის მტკეპნელი (Котокъ) და სხვა ძვირფასი მასალა. მუშაობას უკვე შეუდგა ტეხნიკური განყოფილება და, იმედია, ადრე ნაყოფიერათ დაბოლავებს.

— გამგეობა დიდი ხანია შეუდგა აგრეთვე მდ. სუფსაზე (ნავომარს ზევით) ხიდის აგებას ხის მასალით.

— გამგეობამ შეიძინა სტამბა საჭირო მოწყობილობით ს. ს. დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტიდან ხუთასი ათას (500,000) მან., ეს სტამბა ამ დღეებში გადმოიტანება და მოეწყობა ოზურგეთში. სტამბის გამგეთ მოწვეულია თ. ბოლქვაძე.

— სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანების საქმეზე აქტიურად მომუშავეს, ალფ. ხომერიკს, რომელიც ამ მუშაობის დროსა და მის გამო ნივთიერადაც დაზარალდა, ერობამ აღმოუჩინა დახმარება 15.000 მან. ხსენებულ ხომერიკს დიდი ღვაწლი მიუძღვის ბათუმის შემოერთების საქმეზე მუშაობაში, ის თავ-გამოდებით მუშაობდა ამ ნიადაგზე და ასრულებდა სათანადო ორგანიზაციების დავალებას, მეტად მძიმესა და ხშირათ მისი არსებობისთვის სახიფათოსაც კი.

— გამგეობამ გადასწყვიტა შეშის დამზადება როგორც თავის, ისე სხვა დაწესებულებათა საჭიროებისათვის, რაც დაევალა სავაჭრო-სამრეწველო განყოფილებას.

— საექიმო-სასანიტარო განყ. გამგე ექ. ს. აბაშიძე დათხოვნილი იქნა სამსახურიდან 1 აგვისტოდან ა. წ.

— გაზ. „გურიის ერობის მოამბის“ გამოცემა გამგეობამ დროებით შეაჩერა. გაზეთი გამოვა ერობის მიერ თავისი სტამბის მოწყობის შემდეგ, განახლებული რედაქციით და შინაარსით.

— ერობის გამგეობა დიდი ხანია შეუდგა მეომართა ოჯახებისთვის ფულით დახმარების აღმოჩენას, თანახმად 22 ივნისის კანონისა. ამ ოჯახების ნატურით დახმარების საქმეც კარგადაა მოწყობილი თემების მიერ.

— ერობამ თავის სამსახურში მოიწვია და ოზურგეთის ცენტრალურ საერობო საავათმყოფოს გამგეთ დანიშნა ექ. ავთ. ინგოროყვა.

— ამავე საავათმყოფოში ხირურგიული განყოფილების ორდინატორათ დაინიშნა ექ. ი. ჯაჯანიძე.

— ამ ჟამად ამ საავათმყოფოში მუშაობს 2 ხირურგი (მათ შორის ერთი პროფესორი) ერთი გენეკოლოგი, სამი ტერაპეკტი და ერთიც ექიმი-ბაქტერიოლოგი. საავათმყოფოში კეთდება მეტად მძიმე აპერაციები.

— გამგეობამ ამ დღეებში დააკმაყოფილა შემადგომლობა ნიგვზიანის თემის მცხოვრებთა ფ. თევზაძის, გრ. გურგენაძისა და სხვების, რიცხვით 23-ის მათი ნიგვზიანის თემის მცხოვრებთა სიიდან ამორიცხვისა და სუფსის თემზე მიწერის შესახებ.

— ერობაში მრავალი თხოვნები შემოდის სოციალური დახმარების აღმოჩენის შესახებ, თანახმად 21 მაისის კანონისა. გამგეობა თემების საშუალებით სისწორით იკვლევს მთხოვნელთა ოჯახურ-ნივთიერ მდგომარეობას და საჭირო ცნობების შეკრების შემდეგ სიფრთხილით სწყვეტს—საკითხს დახმარების აღმოჩენის შესახებ. შრომის სამინისტროს უკვე ეგზავნება გამგეობის მიერ თანდა-თანობით ერობის დადებითი დასკვნით ისეთი თხოვნები, რომლებიც არავითარ იჭვს არ იწვევს.

— ოზურგეთის ინტერპ. კლუბს გამგეობამ აღმოუჩინა დახმარება 15.000 მან.

— გამგეობამ 1 აგვისტოდან ა. წ. გაადიდა სამაზრო ყრილობის მიერ დამტკიცებული ნიხრი მაზრაში ეტლითა და ავტომობილით მიმოსვლაზე დაახლოვებით 60—70%, ნიხრი გადიდდა აგრეთვე ნატანებ-ოზურგეთს შუა ურმით ტვირთით გადმოზიდვაზედაც.

ხუხეინ.

მუნიციპალ. ცხოვრება

ქალაქ ლანჩხუთის საბჭოში.

უკანასკნელი დადგენილებანი:

— ეთხოვოს ქალაქის და ერობის გამგეობებს, რათა ფიცხელი ზომები მიიღონ რიონის შეკეთების დასაგვირგვინებლად.

— პირველი ხარისხის რესტორანებზე გადასახადი დაწესდეს 3500 მან., მეორე ხარისხის რესტ. 2500 მანეთი, ღვინის საწყობი I ხარ. 2500 მან., ღვინის საწყობი II ხარ. 2000 მან., ეტლზე 500 მან., ფეხის გამწმენდლებზე 300 მან., ვაგზლის ბუფეტი 1000 მან., შეშით მოვაჭრეებზე 10000 მ., წვრილმანზე 6000 მ., საიარმარკო გადასახადი ფართლეულობაზე 150 მან., სამინდის მყიდვ. 1. 3000 მან., 2. 4000 მან., 3. 5000 მან., ხილით მოვაჭრე ფუთზე—5 მანეთი.

— დაევალოს გამგეობას იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე მშვიდობაძის მამულის იძულებით ჩამორთმევის შესახებ ქალაქის საჭიროებისთვის.

ჭიათურის ქალაქის საბჭოში.

უკანასკნელი დადგენილებანი:

— მიეცეს წინადადება ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს და თვითმართველობებს შეიძინონ ქალაქისაგან საავადმყოფოს ნივთები, რაც მათ დაეთმობათ დაკლებულ ფასებში. თუ ეს დაწესებულებანი არ მოისურვებენ ამ ნივთების ყიდვას, იმ შემთხვევაში გაიყიდოს ქალაქის მაღაზიაში ბაზარზე არსებულ ფასებში.

— ვინაიდან ყასბების თხოვნაში არ არის აღნიშნული, თუ რა პირობებში გაყიდიან ისინი ხორცს და მცხოვრებნი იქნებიან თუ არა ამ მხრით უზრუნველყოფილი, დარჩეს მათი თხოვნა უყურადღებოთ. საბჭო იწონებს გამგეობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს და ავალებს გამგეობას, რომ მან უფრო ენერგიული ზომები მიიღოს, რათა ქალაქის მცხოვრებნი უზრუნველყოფილი იქნენ ხორცით.

— გადაიდოს სასაკლაოს და საყასბოს მოსაწყობათ ორმოცდა ათი ათასი (50000) მანეთი.

მუშათა ცხოვრება

მუშათა დელეგაციის პრეზიდიუმში

აგვისტოს 11 შესდგა მუშათა დელეგაციის პრეზიდიუმის სხდომა. ამ სხდომაზე გაანაწილეს მუშაობა ცნობების შესაკრებად იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება მუშათა კლასი და საერთოდ საქართველოს რესპუბლიკა. ამ მასალამ უნდა გააცნოს რუსეთის მუშებს საქართველოს კონსტიტუცია, მუნიციპალური და საერობო მოღვაწეობა, სახალხო განათლების, სასურსათო, აგრარული, მუშათა კანონ-მდებლობის და სხვა დარგების მუშაობა. დელეგაციის წევრები, სათანადო უწყებათა მახლობელი მონაწილეობით უკვე შეუდგნენ მასალების შეკრებას. აგვისტოს 12 სხდომაზე მოისმინეს მოხსენება შეკრებილ მასალის შესახებ. შეიმუშავეს გეგმა დელეგაციის გამგზავრებისა. დელეგაციის გამგავრების დღეთ აგვისტოს 25 დანიშნეს. დელეგაცია პირველად მოსკოვში მივა. აირჩიეს სამეურნეო კომისია 4 პირისაგან შემდგარი.

საქართველოს მუშათა დელეგაცია

საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა აცნობა ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტს, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა არაა წინააღმდეგი მუშათა დელეგაციის რუსეთში გამგზავრებისა. საბჭოთა რუსეთს თავის მხრივ განზრახვა ქონია ანალოგიური მიზნით გამოგზავნოს საქართველოში რუსეთის მუშათა დელეგაცია.

რკინის გზაზე.

პენსია რკინის გზების მოსამსახურეებს.

რკინის გზების უფროსმა კანდელაკმა აცნობა სამსახურის უფროსს, რომ იმ პირებს, რომლებიც შტატ-გარეშე არიან დარჩენილნი და რომლებსაც დაკარგული აქვთ შრომის უნარი, შემნახველ-დამხმარე კასის წესების მიხედვით უფლება აქვთ პენსიის მიღებისაკენ, ამ მიზეზით, მათ სათანადო თხოვნა უნდა შეიტანონ. თუ პენსიის მიცემაზე მთხოვნელს უარი უთხრეს, მათ შტატგარეშე დახმარებას მისცემენ.

საექიმო დახმარება რკინის გზელებს.

კანდელაკმა სამსახურის განყოფილებათა უფროსებს აცნობა, რომ სახელოსნოსა და რკინის გზების მოსამსახურეთა და მუშებისათვის დახმარების აღმოსაჩენათ 563,000 მან. არის გამოთხოვილი. ამ თანხის ნახევარი მიმდინარე წლის განმავლობაში დახმარების სახით მიეცემა იმ მოსამსახურეებს, რომლებიც ქანისური (მინერალური) წყლებით ექიმობას საჭიროებენ. ეს დახმარება მათ საბჭოს დადგენილებით მიეცემათ. ამასთანავე დახმარების რაოდენობა 2 თვის ჯამაგირის რაოდენობას არ აღემატება. თხოვნები უნდა გადასცენ საბჭოს მდივანს. თხოვნასთან დართული უნდა იყოს ექიმების მოწმობაც.

მილიციაში

— აგვისტოს 4-ს სისხლის სამართლის მიერ დაჭერილია და დაპატიმრებული ქურდობისათვის 11 წლის ყმაწვილი რუბენ პეტროსის ძე შატვეროვი სისტემატიურად ქურდობდა და ქურდების ბანდების მონაწილე ყოფილა.

— აგვისტოს 3-ს შუადღის 2 ს. ოლღა თეოდორეს ასულის ვოლინსკის ბლეხანოვის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონში ამოუცლიათ 15000 მანეთი და პირადობის მოწმობა. ვოლინსკიმ განაცხადა თავისი გაქურდვა და აღნიშნა კიდეც ეჭვით თუ ვინ იყო მისი გამქურდავი. ცოტა ხნის შემდეგ გამქურდველი დაჭერილ იქმნა და აღმოჩნდა რომ ქურდი ყოფილა შუშანიკა ალექსანდრეს ასული ტერ-არუთინოვისა. რომელიც თავის დანაშაულობაში გამოტყდა. დამნაშავე დაპატიმრებულია.

— სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა დავით რაჟდენის ძე ხმალაძე რომელსაც ბრალდება სხვა და სხვა ნივთების მოპარვა ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილის ბინიდან, რომელიც სცხოვრობდა ყაზბეგის ქუჩაზე № 41. გამქურდველების დასაჭერად მიღებულია ზომები.

— პოლკოვნიკმა გოლოტკოვსკიმ გუდოვიჩის ქუჩაზედ № 14 მცხოვრებმა განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში რომ მის ბინიდან გაიტაცეს მანდატურა-ფართლეულობა 50.000 მანეთის ღირებულებისა. სისხლის სამართლის მილიციის მიღებულ ზომებით აღმოჩნდა რომ დასახელებული გაქურდვა მოეხდინა გოლოტკოვსკის ყოფილ მსახურეს ანასტასია პოდგორნაიას. ანასტასია პოდგორნაია დაჭერილია. დამნაშავე თავის ბოროტ-მოქმედებაში გამოტყდა და აღიარა რომ აღნიშნული საქონელი მან მოიპარა მაშინ, როდესაც გოლატკოვსკი შინ არ იყო. დამნაშავე თავს იმართლებს იმით რომ გოლოტკოვსკის ოჯახში სამსახურის დროს გოლოტკოვსკს არ მიუცია კუთვნილი მისი ჯამაგირი 2000 მანეთი და ამ ჯამაგირის მიცემის შემდეგ, დაუბრუნებს გოლოტკოვსკს მის საქონელს. გოლოტკოვსკიმ გადასცა მოსამსახურეს კუთვნილი ჯამაგირი მაგრამ მოსამსახურემ მაინც არ გამოუჩინა მოპარული საქონელი გოლოტკოვსკს. ანასტასია პოდგორნაია დაჭერილია.

ზანგხადებანი

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მარიამ მიხეილის ასული ვერეტინის სახელზე, მიღებული სარატოვის გუბერნიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2183 3—3

დაიკარგა პასპორტი ალი ადიშიძინ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილ. უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2184 3—3

დაიკარგა ნუსხა № 114 მარქაფა ლაშქარში გადარიცხვის შესახებ, გაცემული შორაპნის სამხედრო აღრიცხვის უფროსის მიერ ანდრო სპირიდონის ძე გაჩეჩილაძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 2187 3 3

დაიკარგა მოწმობა № 4399, მიღებული ესპანეთის ვიცე კონსულისაგან და „ნაკლადნოი" ფოთი-ტფილისი № 61934 მელკონ კემოხიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2188 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1042 ვიტალი მარგილევიჩის სახელზე, მიღებული ლიტველთა საბჭოდან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2189 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 895 გიორგი იოსების ძე კონიაშვილის სახელზე. მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—3 (უფ.)

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო, თანახმად ებრაელ შალომის ძე შაშუაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს ერთი წლის პასპორტი, მიცემული ბათუმის საგანგებო კომისრისაგან, მეტრიკული ამოწერილობა, ნოხისნასყიდობის, კვიტანცია, სამსახურის ნუსხა და ცოლის პასპორტი. სთხოვს ბინახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. წინაღმდეგ შემთ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2208 3—3

დაიკარგა პასპორტი № 179, მიღებული მორონის თემის გამგეობისაგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 491 მიღებული სენაკის სამაზრო ეროობის სამხედრო განყოფილებისაგან დავით იესეს ძე ქუნთელის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2207 3—3

დაიკარგა ტრამვაიზე უფასოთ მგზავრობის ბარათი, სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გრიგოლ ალექსანდრეს ძე ქიტესოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2219 3—2

დაიკარგა პასპორტი № 11314, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან და პირადობის მოწმობა № 30242, მიღებული ტფ. დეპოდან ივანე ზაქარიას ძე ნიაკობიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2220 3—2

დაიკარგა მოწმობა № 128 ალექსანდრა უსოვას სახელზე, მიღებული ტფ. მეოთხე ქალთა გიმნაზიიდან 1920 წ. მარტის 17-ს, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2221 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, ალექსი ნიკოლოზის ძე ფარსადანოვის სახელზე, შედგენილი ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსისაგან 1907 წ. რეესტრით № 359. გაუქმებულად ჩაითვალოს. 22222 3—2

დაიკარგა მეეტლეობის მოწმობა დიქიმბიდ ალი მამედ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2211 3—2

დაიკარგა 1) საზღვარ გარეთელი პასპორტი № 137 მორდუხ ლეიბის ძე პომერიანცის სახელზე, და 2) საზღვარ გარეთელი პასპორტი № 1372 სოფია იზრაილის ასული პომერიანცის სახელზე, მიღებული ბათუმის მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2212 3—2

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა, მიღებული სამხედრო სკოლის უფროსისაგან და პასპორტი, მიღებული ს. ციხის (რაჭის მაზრა) საზოგ. კომისრისაგან ალექსანდრე აპრიდონის ძე ვაშაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2213 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი კავთის ხევის კომისრისაგან ს. დ. პარტიის წევრობის ბარათი და იარაღის ნებართვა მიხეილ სოლომონის ძე ჯანჯოლაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2214 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ახალ ქალაქის კომისრისაგან. რკინის გზის წლიური ბილეთი სურათით გიგო ალექსის ძე ალიმბარაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2215 3—2

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 1973 სტეფანე ზურაბის ძე მურადოვის სახელზე მიღებული სომხების კონსისტორიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2217 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 407 4 კომისარიატის უმცროსი მილიციონერის ვალოდია რაჟდენის ძე მიქელაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2230 3—1

პოლკოვნიკი ლუკა იაკოფის ძე მაჭავარიანი აუქმებს მინდობილობას, მიცემულს მის მიერ მისი დისადმი ანასტასია იაკოფის ასულ შონიმისადმი, და შედგენილს 1918 წ. ქ. ტოგონროგში პომონოვის მიერ, ამაღლებაში მდებარე მამულის გაყიდვის შესახებ. 2235 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 14 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 2 ივლისს 1920 წელსა შესრულებული ნაჩუქრობით მიცემული დავით გრიგოლის ძე ლექვინაძის მიერ, ნინო დავითის ასული და იასონ გიორგის ძე გლაზნებზე. ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, ლექვინაძეების შესახვევში შენობებით ზომით $18^{68}/_{100}$ კ. საჟ. 5000 მანეთად. 2018 1—1

დაიკარგა პასპორტი ოგანეზ სარქისის ძე ბანდოიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2231 3—1

დაიკარგა ზედნადები № 1090 და 1091 ბაქო-ნავთლული. მიხეილ ნაზაროვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2224 3—1

დაიკარგა პასპორტი მიკირტიჩ და რიფსიმე არიუტინიანცების სახელზე, მიღებული ბათუმის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2227 3—1

დაიკარგა პასპორტი კონსტანტინე მიხეილის ძე საგატელოვის სახელზე, მიღებული სომხების წარმომადგენელისაგან საქართველოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2229 3—1

დაიკარგა პირადობის და იარაღის ტარების მოწმობა № 404, ალექსანდრე პეტრეს ძე ზარქუას სახელზე, მიღებული საპყრობილეთა მახლებელ რაზმის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2244 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 17 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 10 ივნისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული ლუკა კონსტანტინეს ძე გურეკაიას მიერ მატრონა დიმიტრის ასული ვატაევასადმი ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ. ფოთში დიდ კუნძულზე 86 ზომით 200 კ. ს. 70000 მანეთად. 2018 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 21 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 27 თებერვალს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული პეტრე გრიგორის ძე ურუშაძეს და ანტონ ესტატის ძე პაჭკორიას მიერ დიმიტრი ალექსანდრეს ძე გრედინზე 2 ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ფოთში სლობოდკაში დიდ კუნძულზე ნომერი არ არის ნაჩვენები საქმეში. ზომით 1 ნაკვეთი 150 კ. ს. 2 ნაკვეთი 240 $^{9}/_{10}$ კ. ს. 165000 მანეთად. 2018 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 14 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 2 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული დავით სიმონის ძე ღოღობერიძის მიერ იასონ დიმიტრის ძე ჯალაღანიაზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში ორპირის ქუჩაზე შენობით ზომით $20^{73}/_{100}$ ს. 40000 მანეთად. 2018 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 16 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 2 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული მარიამ სიმონის ასული გრიგოლიას მიერ იასონ დიმიტრის ძე ჯალაღანიაზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში ორპირის და პადგორნი ქუჩების კუთხეში შემობით ზომით 56, 41 კ. ს. 100000 მანეთად. 2018 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 16 ივლისს 1920 დამტკიცდა 31 ივლისს 1911 წელსა შესრულებული ნასყიდობა მიცემული ნატალია პეტრეს ასული ქათამაძის მიერ, ნიკოლოზ ლუკას ძე შელიაზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, საღორიის აგარაკში შენობებით ზომით 100 ოთხ. საჟ. 300 მანეთად. 2018 1—1

ჭიათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმად თავის 3 ამა აგვისტოს დადგენილებისა და 2331 მუხ. მე-10 ტ. სამოს. საქ. წარმ. წესდებ. ამით აცხადებს, რომ ვექილობა, გაცემული კოსტა ოქროპირის ძე რატიანის მიერ—ილია დავითის ძე ბრეგვაძეზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2239 1—1

ქუთაისის ვაგზლის მე-3 უბნის მომრიგებელი მოსამართლე სამოქ. ს. წ. წ. 1401 და 1402 მუხ. ძალით იწვევს 15 ივლისს ამა 1920 წ. გადაცვალებულ ბეგლარ, იგივე თომა კვიკვინიას ძის რეკვავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ზემოხსენებულ რეკვავას დანაშთ ქონებაზე სამოქ. კას. მე-10 ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. დაწესებულ ვადაზე. 2236 1—1

ნაოლალევის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული ხუნწის სოფლის მცხოვრებთ გიგო გურიკოჩისძეს მონიავას მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ხსენებული გიგო მონიავას დანაშთი ქონებაზე სამოქალაქო კანონ კრებულის მეათე ტომის პირველი ნაწილის 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 2237 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლო თანახმად 293, 301 და 309 სამოქალაქო სამართლის წესდ. მუხლებისა იწვევს ოთხი თვის ვადაში, დღიდან განცხადების მოთავსებისა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" თეოდორე გრიგოლის ძე კომიზინსკის. საცხოვრებელი ბინა გამოურკვეველია, ვარლამ ჭიჭინაძის მამულის თაობაზე. უკეთუ გამოხმობილი პირი ან მისი ვექილი არ გამოცხადდება დანიშნულ დროს სასამართლოს მიერ იქნება დადგენილი თანდაუსწრებელი განჩინება. 2240 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 16 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 7 ივლისს 1920 წ. შესრულებული გამოყოფა მიცემული სიმონ იაკობის ძე თევდორაძის მიერ ალექსანდრე სიმონის ძე თევდორაძისადმი ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. სამტრედიაში შენობით ზომით 1 ქცევა და 130 კ. ს. ფასი 2000 მან. 2018 1—1

1919 წელსა დეკემბრის 24-ს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ, დაამტკიცა შედგენილი 25 ივლისს 1918 შინაური სასულიერო ანდერძი გარდაცვალებულის 4 აპრილს 1919 წ. მცხოვრების ქ. ფოთში სოფიო დოლბაიძის ასულის ჩხეიძისა. 2238 1—1

საჯაღდებულო დადგენილება

ქალაქში მოხეტიალე პირუტყვთა და ფრინველთა წინააღმდეგ მიღებული სამტრედიის ქ. საბჭოს მიერ ივლისის 28-ს 1920 წ. სხდ. № 13. მუხ. 7.

1) სამტრედიის ფარგლებში მცხოვრებთ აეკრძალოს სახეტიალოდ გამოუშვან ძაღლები, ღორები და სხვა პირუტყვები და ფრინველები გზებზე ან ქუჩებზე, მოედნებზე და ბაღებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პირუტყვები და ფრინველები დაჭერილნი იქნებიან მოქალაქეებისა და ქალაქის გამგეობის მუშებისაგან და დამწყვდეულნი ქალაქის ქალთაში.

2) დამრღვევნი ამა სავალდებულო დადგენილებისა ყოველ თითეულ შემთხვევაში იქნებიან დასჯილნი თანახმად მე-29 სტ. სასჯელთა დებულებისა, რომელსაც ადგებს მომრიგებელი მოსამართლე.

შენიშვნა: ა) დამნაშავეებს გადახდება მავნებლობა და ზარალი ამ წესის დარღვევის გამო გამოწვეული: ბ) გარდა მავნებლობის და ზარალის ანაზღაურებისა დამნაშავეს გადახდება: დღით დაჭერისათვის პირუტყვზე მსხვილზე თუ წვრილზე 50 მან., ფრინველზე 10 მან., ღამით დაჭერისათვის პირუტყვზე მსხვილზე და წვრილზე 100 მან. ხოლო ფრინველზე 20 მან. შენახვისათვის (რჩენისათვის) და მოვლისათვის დღეში 70 მან. პირუტყვზე და ფრინველზე კი 20 მან. დახსნისას.

3) ყველა დაჭერილ პირუტყვს და ფრინველს შეებმეს ნომერი და ამ ნომრით შეტანილი იქნას სიაში, სადაც მოხსენდეს თვე და რიცხვი მისი დაჭერისა. დაჭერისთანავე უნდა გამოეკრეს განცხადება ქალაქის მილიციის კანცელარიასთან და ჭიშკარზე იმ ეზოისა, სადაც პირუტყვნი არიან დაჭერილნი.

4) თუ დაჭერილ პირუტყვს ან ფრინველს 7 დღის განმავლობაში პატრონი არ დაიხსნის ან პატრონი არ აღმოჩნდება, იმ შემთხვევაში მე-8 დღეს ასეთი პირუტყვნი ან ფრინველნი გადაირიცხოს საჯარო გასასყიდლად ქალაქის სასარგებლოდ. და გაიყიდოს საზოგადო წესით, როგორც უპატრონო პირუტყვნი და ფრინველნი.

5) ძაღლები, რომელნიც ქალაქის ცენტრალურ უბანში გამოდიან პირ აუკვრელნი უნომროთ დახოცილნი იქნან და მათ პატრონებს გადახდეს მავნებლობა და ზარალი, რაიც იქნება გამოწვეული ამ დადგენილების დარღვევით. აგრეთვე მიეცნენ პასუხის გებაში მე-29 მუხ. ძალით სასჯელთა დებულებისა, რომელსაც ადგებს მომრიგებელი მოსამართლე.

შენიშვნა: ყელზე შესაბამი ძაღლებისათვის შეიძინონ ქალაქის გამგეობაში, რისთვისაც გადახდეს ხუთი თუმანი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება სახაჭრო და ქალაქის მილიციას.

825 3—2

სამტრედიის ქალაქის გამგეობა.

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი